

დამტკიცებულია

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორის 19.11.2025 № 235 ბრძანებით

მოდიფიცირებულია

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორის 26.02.2026 № 61 ბრძანებით



პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა

პროგრამის ხელმძღვანელი: ბორის გვარჯალაძე

საკონტაქტო ინფორმაცია: T: 0322 20 54 24

e-mail: info.rtc.2016@gmail.com

თბილისი
2026 წ.

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (ქართულ და ინგლისურ ენებზე) - რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა; Railroad track construction
2. სარეგისტრაციო ნომერი - 07.19.1
3. მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულ და ინგლისურ ენებზე) - საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობაში; Secondary Vocational Qualification in Railroad track construction
4. მიზანი - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია უზრუნველყოს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი კადრის მომზადება.
5. კვალიფიკაციის დონე
ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო (NQF) - დონე 4

6. კლასიფიკაციის აღწერა

- 6.1 ISCED კოდი და აღწერა: 0732 - მშენებლობა და სამოქალაქო ინჟინერია - *“მშენებლობა შეისწავლის საჯარო (საზოგადოებრივი), კომერციული, ინდუსტრიული და სახცოვრებელი სტრუქტურების (ასევე მათი აღჭურვის) მონტაჟის, აგებისა და მათი შენარჩუნების მეცნიერებას, ტექნოლოგიასა და ტექნიკას. სამოქალაქო ინჟინერია შეისწავლის დიდი ზომის შენობა-ნაგებობებისა და სტრუქტურების, მათ შორის სატრანსპორტო სისტემების, წყალმომარაგებისა და წყალარინების და ა.შ. დაგეგმვას, პროექტირებას, ტესტირებასა და მშენებლობის ხელმძღვანელობას.”*
- 6.2 ISCO კოდი: 9312 - სამოქალაქო ინჟინერიის მუშები
ეკონომიკური საქმიანობის სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი: 42
7. დასაქმების შესაძლებლობები - რკინიგზის ლიანდაგის მშენებელს შეუძლია დასაქმდეს კერძო და საჯარო სექტორში, რომელთა საქმიანობაც დაკავშირებული იქნება რკინიგზების მშენებლობასთან, რეკონსტრუქციასა და ექსპლუატაციასთან.
8. დაშვების წინაპირობა
 - 8.1 სრული ზოგადი განათლება;
 - 8.2 საბაზო ზოგადი განათლება - *იმ შემთხვევაში თუ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები;*

9. სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. აწარმოოს რკინიგზის ლიანდაგის სამშენებლო სამუშაოები
2. აწარმოოს რკინიგზის ლიანდაგის შეკეთებისა და მოვლა-შენახვის სამუშაოები
3. შეარჩიოს სალიანდაგო მექანიზმები, ხელსაწყო-იარაღები და მასალები
4. შეამოწმოს სალიანდაგო მექანიზმების და სამუშაო იარაღების გამართულობა
5. შემოფარგლოს სასიგნალო ნიშნებით სამუშაოთა წარმოების ადგილი
6. აწარმოოს მიწის ვაკისისა და ხელოვნური ნაგებობების მოვლა-შენახვის სამუშაოები
7. გაასწოროს გრძივ პროფილსა და თარაზოში ლიანდაგი და ისრული გადამყვანი
8. გაასწოროს გეგმაში ლიანდაგი (რეხტირება)
9. გაასწოროს ნაბურციანი ლიანდაგი
10. დაარეგულიროს ლიანდაგის სიგანე და საპირაპირო ღრეჩოები
11. გაწმინდოს თოვლისაგან ლიანდაგი და ისრული გადამყვანი
12. შეცვალოს ლიანდაგის ზედა ნაშენისა და ისრული გადამყვანის ელემენტები
13. გადააწყოს მაიზოლირებელი პირაპირების კვანძები
14. დააგოს ლიანდაგი
15. განმუხტოს ტემპერატურული დამაბულობა უპირაპირო ლიანდაგის სარელსო წნულეებში
16. დაათვალიეროს რელსების, სამაგრების, შპალების, ბალასტის, ისრული გადამყვანის, სარკინიგზო გადასავალის, სასიგნალო და სალიანდაგო ნიშნების, მიწის ვაკისის, ხელოვნური ნაგებობების და გასხვისების ზოლის მდგომარეობა.

10. სწავლის შედეგების დეტალური აღწერა

მოდული	პროფესიული უნარები	პროფესიული ცოდნა	საკვანძო კომპეტენციები
--------	--------------------	------------------	------------------------

			მშობლიურ ენაზე	უცხო ენაზე	მათემატიკური უნარ-ჩვევები და საბაზისო	აითონოთი დამოუკიდებლად	პიროვნებათმორისი	მისწრაფობა	კულტურული
<p>რკინიგზის მშენებელის სამუშაო პროცესის/ადგილის ორგანიზება</p>	<ul style="list-style-type: none"> • იღებს დავალებებს ხელმძღვანელისაგან; • ირჩევს სალიანდაგო მექანიზმებს, ინსტრუმენტებს და მასალებს; • ამოწმებს სალიანდაგო მექანიზმების და სამუშაო იარაღების გამართულობას; • გადააქვს სალიანდაგო მექანიზმები, ინსტრუმენტები და მასალები სამუშაო ადგილზე; • შემოფარგლავს სამუშაოთა წარმოების ადგილს სასიგნალო ნიშნებით; • აბრუნებს დასაწყობების ადგილზე სალიანდაგო მექანიზმებს, ინსტრუმენტებს და ნარჩენ მასალებს. 	<ul style="list-style-type: none"> • იცის ეთიკის ნორმები; • იცის სახელმწიფო ენა; • იცის უცხოური ენა პროფესიული ამოცანების შესასრულებლად მინიმალურ საკომუნიკაციო დონეზე; • იცის ლიანდაგის ტექნიკური ტერმინოლოგია; • იცის კომუნიკაციის ეფექტური მეთოდები; • იცის საკომუნიკაციო ტექნიკური საშუალებები; • იცის სალიანდაგო მანქანების, მექანიზმების, ხელსაწყოების და იარაღების კლასიფიკაცია; • იცის სალიანდაგო მექანიზმების და ინსტრუმენტების დანიშნულება; • იცის მასალის სახეობები; • იცის სალიანდაგო ელექტრული, ჰიდრავლიკური და ხელის იარაღების ექსპლუატაციის წესები; • იცის ელექტრული და ჰიდრავლიკური სალიანდაგო იარაღების კვანძები და დეტალები; 	✓		✓	✓			

		<ul style="list-style-type: none"> • იცის სამუშაო ადგილის მდებარეობა (კილომეტრი, პიკეტი, რგოლი) • იცის სალიანდაგო მექანიზმების, ინსტრუმენტების და მასალების გადატანის საშუალებები; • იცის სალიანდაგო მექანიზმების, ინსტრუმენტების და მასალების გადატანის წესები; • იცის დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა წესები; • იცის უსაფრთხოების წესები ლიანდაგში გადაადგილებისას; • იცის სამუშაოთა წარმოების ადგილის შემოფარგვლის სქემები გადასარბენზე და სადგურებში; • იცის სასიგნალო ნიშნების დანიშნულება; • იცის კავშირის (კომუნიკაციის) საშუალებები; • იცის ინსტრუმენტების და ნარჩენი მასალების დასაწყობების წესები. 									
<p>რკინიგზის ლიანდაგზე სამუშაოების წარმოების უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა</p>	<ul style="list-style-type: none"> • აღმოუჩენს/უზრუნველყოფს პირველად გადაუდებელი დახმარებას/დახმარების გაწევას; • იცავს (პირად და სამუშაო ადგილის) სანიტარიულ-ჰიგიენურ ნორმებს; • იცავს პროფესიულ ეთიკას; 	<ul style="list-style-type: none"> • იცის პირველადი სამედიცინო დახმარების ნაკრების მოხმარების წესი; • იცის პირველადი დახმარების გაწევის წესი; • იცის ვის მიმართოს დახმარებისთვის; • იცის შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვის მართვის 	✓		✓		✓				

	<ul style="list-style-type: none"> • უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვის მართვის სისტემების დაცვას საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში; • იცავს სარკინიგზო ინსტრუქციის მოთხოვნებს საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში. 	<p>სისტემების მიზანი და პოლიტიკა;</p> <ul style="list-style-type: none"> • იცის შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვით საკითხებში დასაქმებულთა უფლებები და ვალდებულებები; • იცის შრომის უსაფრთხოების საკითხებში ჩასატარებელი ინსტრუქტაჟების სახეობები და ჩატარების ვადები; • იცის პროფესიული რისკების შეფასების წესი; • იცის პროფესიული რისკების შემცირების ღონისძიებების დაგეგმვა; • იცის სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები; • იცის პირადი და სამუშაო ადგილის სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების კონტროლის წესები; • იცის სანიტარიულ-ჰიგიენური საშუალებების მოხმარების წესი; • იცის გარემოს დაცვითი ძირითადი ნორმები; • იცის გარემოს დაცვითი ღონისძიებები; • იცის პროფესიული ეთიკა; • იცის ტექნიკური ექსპლუატაციის წესებით განსაზღვრული მატარებლების მოძრაობის უსაფრთხოების 									
--	---	--	--	--	--	--	--	--	--	--	--

		<p>უზრუნველყოფის ძირითადი მოთხოვნები;</p> <ul style="list-style-type: none"> • იცის სიგნალიზაციის ინსტრუქციით განსაზღვრული მატარებლების მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძირითადი მოთხოვნები; • იცის სალიანდაგო სამუშაოების წარმოებისას მატარებლების მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძირითადი წესები; • იცის საგანგებო სიტუაციების დროს მოქმედების წესები; • იცის სიცოცხლის უსაფრთხოების, უსაფრთხოების ტექნიკის, ელექტრო და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების წესები; • იცის ელექტროუსაფრთხოების საშუალებები; • იცის ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებები. 									
<p>რკინიგზის ლიანდაგის სამშენებლო სამუშაოების წარმოება</p>	<ul style="list-style-type: none"> • კითხულობს საპროექტო ნახაზებს; • შეაქვს კორექტირება/მონიშვნები/კომენტარები საპროექტო ნახაზებში; • ადგენს რკინიგზის მშენებლობის ძირითად საპროექტო პარამეტრებს (სიგრძე, ქანობი, რკინიგზის კატეგორია და სხვ.) 	<ul style="list-style-type: none"> • იცის საინჟინრო გრაფიკის ძირითადი ელემენტები; • იცის რკინიგზის მშენებლობაში გამოყენებული პირობითი აღნიშვნები; • იცის AutoCad-ის საშუალებით ნახაზის აგება/რედაქტირება/ანოტირება; • იცის გამოყენებითი გეოდეზიის ელემენტები; 	✓		✓		✓				

	<ul style="list-style-type: none"> • ადგენს სამშენებლო მოედნის გეოგრაფიულ ადგილმდებარეობას/რელიეფს; • დაკვალავს ტრასას გეოდეზიური ინსტრუმენტების გამოყენებით • ადგენს სამუშაოთა ტიპებს და თანმიმდევრობას საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით; • განსაზღვრავს ლიანდაგის მშენებლობის ტექნოლოგიურ პროცესებს. 	<ul style="list-style-type: none"> • იცის ტოპოგრაფიული რუკების და გეგმების კითხვა; • იცის ტრასის დაკვალვა ინსტრუმენტების გამოყენებით; • იცის ლიანდაგის კონსტრუქციული ტიპები; • იცის რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობის ტექნოლოგიური პროცესები. 									
<p>რკინიგზის მიწის ვაკისის და ხელოვნური ნაგებობების მიმდინარე მოვლა-შენახვა</p>	<ul style="list-style-type: none"> • აღწერს მიწის ვაკისის ძირითად ელემენტებს; • აღწერს მცირე ხელოვნური ნაგებობების ტიპებს; • აღწერს მიწის ვაკისის მოვლა-შენახვის სამუშაოებს; • აღწერს მცირე ხელოვნური ნაგებობების მოვლა-შენახვის სამუშაოებს; • აღწერს სარკინიგზო ხელოვნური ნაგებობების (ხიდების, გვირაბების) მოვლა-შენახვის სამუშაოებს. 	<ul style="list-style-type: none"> • იცის მიწის ვაკისის ძირითადი ელემენტები; • იცის მიწის ვაკისის დანიშნულება, მისი ძირითადი ელემენტები (მიწის ვაკისის ძირითადი მოედანი, ფერდო, კიუვეტი, სამთო არხი, ღარები, კავალიერი, რეზერვი და სხვა) და ზომები; • იცის მიწის ვაკისის ძირითადი მოედნის სიგანე; • იცის მიწის ვაკისის ძირითადი დეფორმაციები; • იცის სარკინიგზო მცირე ხელოვნური ნაგებობების ტიპები; 	✓		✓		✓				

		<ul style="list-style-type: none"> • იცის მიწის ვაკისის აგებისა და მოვლა-შენახვისათვის საჭირო მანქანა-მექანიზმები და იარაღები; • იცის მიწის ვაკისის აგებისა და მოვლა-შენახვის სამუშაოთა ტექნოლოგია; • იცის მცირე ხელოვნური ნაგებობების აგებისა და მოვლა-შენახვის ტექნოლოგია; • იცის სარკინიგზო ხელოვნური ნაგებობების (ხიდების, გვირაბების) მოვლა-შენახვის სამუშაოთა ტექნოლოგია; 									
ლიანდაგის ზედა ნაშენის კონსტრუქცია	<ul style="list-style-type: none"> • აღწერს რელსების კონსტრუქციას; • აღწერს საკონტაქტო რელსის კონსტრუქციას; • აღწერს რელსქვეშა საფუძვლის კონსტრუქციას; • აღწერს სარელსო სამაგრების და ძვრაწინაღების კონსტრუქციას; • აღწერს სალიანდაგო ბალასტის შრის კონსტრუქციას; • აღწერს ისრული გადაყვანების კონსტრუქციას. 	<ul style="list-style-type: none"> • იცის რელსის დანიშნულება და მარკა; • იცის შპალის და გადამყვანის ძელების დანიშნულება, მასალა (ხის, რკინაბეტონის) და ძირითადი ზომები; • იცის შპალების ეპიურა; • იცის ისრული გადაყვანის დანიშნულება, მარკა, ძირითადი ზომები; • იცის ისრული გადაყვანის შემადგენელი ძირითადი ელემენტები (ჩარჩო რელსი, კალამი, შემაერთებელი ლიანდაგი, ჯვარედი და კონტრრელსი); • იცის შუალედური და საპირაპირო სამაგრების დანიშნულება და დეტალები; • იცის საბალასტო პრიზმის დანიშნულება; 	✓		✓		✓				

		<ul style="list-style-type: none"> • იცის საბალასტო მასალა (ლორდი, ხრეში, ქვიშა); • იცის ბალასტის ფრაქციის სიდიდე; • იცის საპირაპირო ღრეჩოების დასაშვები მნიშვნელობები; • იცის მკვრივების დანიშნულება და გამოყენების წესი. 									
ლიანდაგის მიმდინარე მოვლა-შენახვა	<ul style="list-style-type: none"> • აღწერს ლიანდაგის და ისრული გადამყვანის გრძივ პროფილსა და თარაზოში გასწორების სამუშაოებს; • აღწერს ლიანდაგის გეგმაში გასწორების (რექტირების) სამუშაოებს; • აღწერს ნაბურცვანი ლიანდაგის გასწორების, ღორღის ბალასტის გამოჭრის და თოვლისაგან ლიანდაგისა და ისრული გადამყვანის გაწმენდის სამუშაოებს; • აღწერს ლიანდაგის სიგანისა და საპირაპირო ღრეჩოების რეგულირების სამუშაოებს; • ასწორებს ლიანდაგს და ისრულ გადამყვანს გრძივ პროფილსა და თარაზოში; 	<ul style="list-style-type: none"> • იცის ლიანდაგის გეგმისა და პროფილის ელემენტები (ქანობი, სწორი უბანი, წრიული და გადასასვლელი მრუდი და სხვა); • იცის ლიანდაგში ვაგონის ლენტის ძირითადი პარამეტრები; • იცის გარე რელსის შემადგენლების დანიშნულება; • იცის თარაზოში ლიანდაგის მოვლა-შენახვის ნორმები; • იცის სალიანდაგო შაბლონი; • იცის სამუშაოს შესასრულებლად საჭირო ძირითადი იარაღები (ჰიდრაულიკური დომკრატი და შპალ-შემომბეკნი); • იცის ლიანდაგში სალიანდაგო იარაღების განლაგების წესი; 	✓		✓		✓				

	<ul style="list-style-type: none"> • ასწორებს ლიანდაგს გეგმაში (რეხტირება); • არეგულირებს ლიანდაგის სიგანეს; • არეგულირებს საპირაპირო ღრეჩობებს; • განმუხტავს ტემპერატურულ დამაბულობას უპირაპირო ლიანდაგის სარელსო გადაბმებში; • წმენდს თოვლისაგან ლიანდაგსა და ისრულ გადამყვანს; • ასწორებს ნაბურცთან ლიანდაგს; • სალიანდაგო სამუშაოების წარმოებისას უზრუნველყოფს მატარებლების მოძრაობის უსაფრთხოებას საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში. 	<ul style="list-style-type: none"> • იცის გრძივ პროფილსა და თარაზოში ლიანდაგისა და ისრული გადამყვანის გასწორების სამუშაოთა ტექნოლოგია; • იცის გეგმაში ლიანდაგის მოვლა-შენახვის ნორმები; • იცის ჩალუნვის ისრისა და მრუდის რადიუსის ურთიერთდამოკიდებულება; • იცის სამუშაოს შესასრულებლად საჭირო ძირითადი იარაღები (ჰიდრავლიკური მარეხტირებელი ხელსაწყო); • იცის ლიანდაგის გეგმაში გასწორების (რეხტირება) სამუშაოთა ტექნოლოგია; • იცის ლიანდაგის სიგანის დასამზებელი ნორმები მრუდის რადიუსზე დამოკიდებულებით; • იცის სამუშაოს შესასრულებლად საჭირო ძირითადი იარაღები (მომჭიმავი სამარჯჯვი); • იცის ლიანდის სიგანის რეგულირების სამუშაოთა ტექნოლოგია; • იცის ლიანდაგის წამვრის მიზეზები, ძვრაწინადის დანიშნულება და ტიპი; • იცის საპირაპირო ღრეჩოს სიდიდის ნორმები; • იცის სამუშაოს შესასრულებლად საჭირო ძირითადი 									
--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--

		<p>იარაღები (ჰიდრავლიკური წამრევი ხელსაწყო);</p> <ul style="list-style-type: none"> • იცის საპირაპირო ღრეჩოების რეგულირების სამუშაოთა ტექნოლოგია; • იცის პირაპირებში ვერტიკალური და ჰორიზონტალური საფეხურების აღმოფხვრის სამუშაოთა ტექნოლოგია; • იცის უპირაპირო ლიანდაგის ტემპერატურული მუშაობის ძირითადი პრინციპები; • იცის უპირაპირო ლიანდაგის განმუხტვის სამუშაოთა თანმიმდევრობა (მათანაბრებელი რელსის ამოღება, რელსების ჩამაგრებიდან განთავისუფლება, სარელსო გადაბმის თავისუფალი გადაადგილება, მათანაბრებელი რელსის შეცვლა, რელსების ჩამაგრება); • იცის რელსის ტემპერატურის გამზომი თერმომეტრი და გაზომვის წესი; • იცის უპირაპირო ლიანდაგის სარელსო გადაბმებში ტემპერატურული დამაბულობის განმუხტვის სამუშაოთა ტექნოლოგია; • იცის თოვლისაგან პირველ რიგში გასაწმენდი ადგილები (ჩარჩო რელსთან კალმის მიბჯენის ადგილები); 									
--	--	---	--	--	--	--	--	--	--	--	--

		<p>ჯვარედი, კონტრელსები და კონტრელსების ღარები);</p> <ul style="list-style-type: none"> • იცის თოვლისაგან გამწმენდი საშუალებები და იარაღები (ცოცხი, ლითონის საფხეკი, ნიჩაბი); • იცის თოვლისაგან დამცავი გადასატანი ფარები; • იცის ისრული გადამყვანის თოვლისაგან გამწმენდი მოწყობილობები (პნევ-მოგაწმენდის და ელექტრო-გათბობის); • იცის თოვლსაწმენდი და თოვლამღები მანქანები; • იცის ლიანდაგსა და ისრული გადამყვანის თოვლისაგან გაწმენდის სამუშაოთა ტექნოლოგია; • იცის ნაბურცის წარმოქმნის მიზეზი; • იცის ნაბურციანი ლიანდაგის გასწორების დამრეცობის ნომინალური ქანობები; • იცის ნაბურციანი ლიანდაგის გასწორების სამუშაოთა ტექნოლოგია; • იცის მიწის ვაკისის ძირითადი ელემენტები (ყრილი, ჭრილი, გვერდული, ფერდო, კიუვეტი, დრენაჟი, სამთო არხი, ღარები, წყალმომცილებელი არხი და ა.შ.); 									
--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--

		<ul style="list-style-type: none"> • იცის მიწის ვაკისის მოვლა-შენახვისათვის საჭირო იარაღები; • იცის მიწის ვაკისის მოვლა-შენახვის სამუშაოთა ტექნოლოგია; • იცის ტექნიკური ექსპლუატაციის წესებით განსაზღვრული მატარებლების მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძირითადი მოთხოვნები; • იცის სიგნალიზაციის ინსტრუქციით განსაზღვრული მატარებლების მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძირითადი მოთხოვნები; • იცის სალიანდაგო სამუშაოების წარმოებისას მატარებლების მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძირითადი წესები. 									
ლიანდაგის ზედა ნაშენის ელემენტების შეცვლა	<ul style="list-style-type: none"> • ცვლის რელსებს; • ცვლის შპალებს და გადამყვანის ძელებს; • ცვლის ისრული გადამყვანის ლითონის ელემენტებს (ჩარჩო რელსი, კალამი, ჯვარედინი, კონტრრელსი); • ცვლის სარელსო სამაგრებს; • გადააწყობს მაიზოლირებელ პირაპირებს 	<ul style="list-style-type: none"> • იცის ზოგადად რელსების დეფექტები; • იცის დეფექტური და მეტად დეფექტური რელსების ნიშანდობა; • იცის რელსის ცვეთის სახეები (ვერტიკალური, გვერდითი, დაყვანილი); • იცის რელსებში საპირაპირე ნახვრეტების განლაგება და ზომები; 	✓		✓		✓				

	<ul style="list-style-type: none"> • ცვლის ბალასტს ამონაშხეფების ადგილებში; • ლიანდაგის ზედა ნაშენის ელემენტების შეცვლისას უზრუნველყოფს მატარებლების მოძრაობის უსაფრთხოებას საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში. 	<ul style="list-style-type: none"> • იცის რელსების შპალებთან მიმაგრების წესი; • იცის რელსების ცვლის სამუშაოთა შესასრულებლად საჭირო ძირითადი იარაღები (რელსსაჭრელი და რელსსახვრეტი დაზგები); • იცის რელსის შეცვლის სამუშაოთა ტექნოლოგია; • იცის ხის შპალებისა და გადამყვანის ძელების გასჟღენთად გამოყენებული ანტიესპტიკები; • იცის ზოგადად ხის და რკინაბეტონის შპალის დეფექტები; • იცის შპალის და გადამყვანის ძელის შესაცვლელად საჭირო ძირითადი იარაღები; • იცის შპალის და გადამყვანის ძელის შეცვლის სამუშაოს ტექნოლოგია; • იცის სარკინიგზო გადასასვლელის ფენილის შეცვლის სამუშაოების ტექნოლოგია; • იცის ტექნიკური ექსპლუატაციის წესებით განსაზღვრული ისრული გადამყვანის ძირითადი უწყესივრობები; • იცის ზოგადად ისრული გადამყვანის დეფექტები; • იცის სიგანესა და თარაზოში ისრული გადამყვანის მოვლა-შენახვის ძირითადი ნორმები; 									
--	--	---	--	--	--	--	--	--	--	--	--

		<ul style="list-style-type: none"> • იცის ისრული გადამყვანის ლითონის ელემენტების შესაცვლელად საჭირო ძირითადი იარაღები; • იცის ისრული გადამყვანის შემადგენელი ძირითადი ელემენტების (ჩარჩო რელსი, კალამი, შემაერთებელი ლიანდაგი, ჯვარედი და კონტრელსი) შეცვლის სამუშაოთა ტექნოლოგია; • იცის შუალედური და საპირაპირო სამაგრების შესაცვლელად საჭირო ძირითადი იარაღები; • იცის შუალედური და საპირაპირო სამაგრების შეცვლის სამუშაოთა ტექნოლოგია; • იცის მაიზოლირებელი პირაპირების დანიშნულება და დეტალები; • იცის მაიზოლირებელი პირაპირების გადასაწყობად საჭირო ძირითადი იარაღები; • იცის მაიზოლირებელი პირაპირების გადაწყობის სამუშაოთა ტექნოლოგია დეფექტური დეტალების შეცვლით; • იცის ბალასტის შეცვლის და ღორღის გაცხავეების სამუშაოთა შესასრულებლად საჭირო ძირითადი იარაღები; • იცის ბალასტის შეცვლის სამუშაოთა ტექნოლოგია; 									
--	--	---	--	--	--	--	--	--	--	--	--

		<ul style="list-style-type: none"> • იცის ღორღის გაცხავების სამუშაოთა ტექნოლოგია; • იცის ტექნიკური ექსპლუატაციის წესებით განსაზღვრული მატარებლების მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძირითადი მოთხოვნები; • იცის სიგნალიზაციის ინსტრუქციით განსაზღვრული მატარებლების მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძირითადი მოთხოვნები; • იცის სალიანდაგო სამუშაოების წარმოებისას მატარებლების მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძირითადი წესები. 									
ლიანდაგის მონიტორინგი/ინსპექტირება	<ul style="list-style-type: none"> • ათვალერებს რელსების და სამაგრების მდგომარეობას; • ათვალერებს შპალების და ბალასტის მდგომარეობას; • ათვალერებს ისრული გადამყვანის მდგომარეობას; • ათვალერებს სარკინიგზო გადასავალს, სასიგნალო და სალიანდაგო ნიშნებს; • ათვალერებს მიწის ვაკისის და გასხვისების ზოლის მდგომარეობას; 	<ul style="list-style-type: none"> • იცის რელსების ძირითადი დეფექტები; • იცის რელსებში დეფექტის აღმოჩენის ვიზუალური კონტროლი; • იცის რელსების შპალებთან მიმაგრების წესი; • იცის სამაგრების დეფექტები; • იცის ტემპერატურული და მაიზოლირებელი პირაპირების აცდენის დასაშვები სიდიდეები; • იცის საპირაპირო ღრეჩოების დასაშვები მნიშვნელობები; 	✓		✓		✓				

	<ul style="list-style-type: none"> • აკვირდება ლიანდაგსა და მოძრავ შემადგენლობას მატარებლის გავლის დროს. 	<ul style="list-style-type: none"> • იცის ძვრანაწინაღის დანიშნულება და გამოყენების წესი; • იცის ხის შპალების ძირითადი დეფექტები; • იცის რკინაბეტონის შპალების ძირითადი დეფექტები; • იცის საბალასტო პრიზმის განივი პროფილის ზომები; • იცის საბალასტო მასალა (ღორღი, ხრეში, ქვიშა); • იცის ბალასტის ფრაქციის სიდიდე; • იცის შპალების ეპიურა; • იცის ისრული გადამყვანის დანიშნულება, მარკა, ძირითადი ზომები; • იცის ტექნიკური ექსპლუატაციის წესებით განსაზღვრული ისრული გადამყვანის ძირითადი უწყესივრობები; • იცის ისრულ გადამყვანებში დეფექტის აღმოჩენის ვიზუალური კონტროლი; • იცის ისრული გადამყვანის შემადგენელი ძირითადი ელემენტები (ჩარჩო რელსი, კალამი, შემაერთებელი ლიანდაგი, ჯვარედი და კონტრელსი); 									
--	---	---	--	--	--	--	--	--	--	--	--

		<ul style="list-style-type: none"> • იცის ისრული გადამყვანში სარელსო ძაფის წყვეტის ადგილები (კალმის წვერი, ჯვარედი); • იცის ზოგადად ისრული გადამყვანის დეფექტები; • იცის გადასავალების ფენილის კონსტრუქცია (ხის, რკინაბეტონის, რეზინო-კორდონული) და სასიგნალო მოწყობილობები; • იცის მუდმივი სიგნალების, სასიგნალო ნიშნების, ხმოვანი სიგნალების, სალიანდაგო ნიშნების, საბჯენების დანიშნულება; • იცის ნაგებობათა მიახლოების გაზარიტი; • იცის გასხვისების ზოლის დანიშნულება, მისი აღმნიშვნელი სალიანდაგო ნიშნები; • იცის მოძრავი შემადგენლობის სავალი ნაწილებისა და ლიანდაგის ურთიერთქმედების ძირითადი პრინციპები; • იცის მოძრავი შემადგენლობის სავალი ნაწილების ძირითადი ზომები; 									
--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--

		<ul style="list-style-type: none"> • იცის ვერტიკალური და ჰორიზონტალური ბიძგების, გადაფერდებების დასაშვები სიდიდეები. 									
<p>ლიანდაგის ზედანაშენის ელემენტებში დეფექტების ვიზუალური გამოვლენა</p>	<ul style="list-style-type: none"> • აღწერს რელსებში, სარელსო საპირაპირე და შუალედურ სამაგრებში ვიზუალური დათვალიერებით დეფექტების და დაზიანებების გამოვლენის წესებს; • აღწერს ისრული გადამყვანის ლითონის ელემენტებსა და რელსქვეშა საფუძველში ვიზუალური დათვალიერებით დეფექტების, დაზიანებების გამოვლენის წესებს; • ავლენს ვიზუალური დათვალიერებით ლიანდაგის ზედა ნაშენის ელემენტებში დეფექტებს. 	<ul style="list-style-type: none"> • იცის რელსებში, სარელსო საპირაპირე და შუალედურ სამაგრებში დეფექტების სახეები; • იცის ისრული გადამყვანის ლითონის ელემენტებსა და რელსქვეშა საფუძველში დეფექტების სახეები; • იცის რელსებში დეფექტის აღმოჩენის ვიზუალური კონტროლის წესი; • იცის რელსებში და ისრული გადამყვანის ლითონის ელემენტებში დეფექტების და დაზიანებების დეფექტების და დაზიანებების გამოსავლენი დამხმარე საშუალებები; • იცის ისრულ გადამყვანებში დეფექტის აღმოჩენის ვიზუალური კონტროლის წესი. 	✓		✓		✓				

11. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს 5 ზოგად მოდულს ჯამური 13 კრედიტის მოცულობით და 14 პროფესიულ მოდულს ჯამური 77 კრედიტის მოცულობით. რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობაში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭიროა ჯამურად 90 კრედიტის დაგროვება.

მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანების 24 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

- პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის- 90 კრედიტი;
- პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის- 17თვე¹
- პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 120 კრედიტი;
- პროგრამის ხანგრძლივობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის- 22 თვე

ქართული ენის მოდულები	
მოდულის დასახელება	კრედ.
ქართული ენა A2	15
ქართული ენა B1	15
	30

¹ პროგრამის ხანგრძლივობა განისაზღვრება სასწავლო კვირების მიხედვით. თითოეული სასწავლო ჯგუფის სწავლის დაწყების და დასრულების თარიღი დგინდება კალენდარული გრაფიკის მიხედვით, 2 კვირა საშობაო, 1 კვირა სააღდგომო და არსებული კანონმდებლობით განსაზღვრული უქმეების გათვალისწინებით.

ზოგადი მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1.	პიროვნული უნარები და ინტერპერსონალური კომუნიკაციები*	2
2.	უცხოური ენა	3
3.	მეწარმეობა	4
4.	რაოდენობრივი წიგნიერება*	2
5.	ინფორმაციული წიგნიერება*	2
		13
პროფესიული მოდულები		
ბლოკი 1		
6.	საინჟინრო ხაზვა	5
7.	გეოდეზიის საფუძვლები	3
8.	გაცნობითი პრაქტიკა - სარკინიგზო ინდუსტრიაში	1
9.	მეტროლოგია	3
ბლოკი 2		
10.	რკინიგზის მშენებლის სამუშაო პროცესის/ადგილის ორგანიზება	4
11.	რკინიგზის ლიანდაგზე სამუშაოების წარმოების უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	6
12.	რკინიგზის ლიანდაგის სამშენებლო სამუშაოების წარმოება	5
13.	რკინიგზის მიწის ვაკისის და ხელოვნური ნაგებობების მიმდინარე მოვლა-შენახვა	4
14.	ლიანდაგის ზედა ნაშენის კონსტრუქცია	4
15.	ლიანდაგის მიმდინარე მოვლა-შენახვა	14
16.	ლიანდაგის ზედა ნაშენის ელემენტების შეცვლა	8
17.	ლიანდაგის მონიტორინგი/ინსპექტირება	6
18.	ლიანდაგის ზედანაშენის ელემენტებში დეფექტების ვიზუალური გამოვლენა	4
19.	პრაქტიკული პროექტი რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა	10
		77
სულ		90

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ინტეგრირებული მოდულებით:

ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 2 ზოგად მოდულს 7 კრედიტის ოდენობით, 6 ინტეგრირებულ მოდულს 30 კრედიტის ოდენობით და 13 პროფესიულ მოდულს ჯამური 77 კრედიტის მოცულობით. კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს არანაკლებ 114 კრედიტი.

მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანების 24 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

- ინტეგრირებული პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 114 კრედიტი;
- ინტეგრირებული პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 21 თვე
- ინტეგრირებული პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 144 კრედიტი;
- ინტეგრირებული პროგრამის ხანგრძლივობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 26 თვე

ქართული ენის მოდულები	
მოდულის დასახელება	კრედიტი
01 ქართული ენა A2	15
02 ქართული ენა B1	15
	30

ინტეგრირებული მოდულები	
მოდულის დასახელება	კრედიტი

1.	კომუნიკაცია ქართულ ენაზე	8
2.	მათემატიკური წიგნიერება	7
3.	მეცნიერება და ტექნოლოგიები	6
4.	მოქალაქეობა	6
5.	სპორტი	2
6.	ესთეტიკა	1
		30

ზოგადი მოდულები		
მოდულის დასახელება		კრედიტი
7.	უცხოური ენა	3
8.	მეწარმეობა	4
		7

პროფესიული მოდულები		
ბლოკი 1		
9	საინჟინრო ხაზვა	5
10.	გეოდეზიის საფუძვლები	3
11.	გაცნობითი პრაქტიკა - სარკინიგზო ინდუსტრიაში	1
12.	მეტროლოგია	3
ბლოკი 2		
13.	რკინიგზის მშენებლის სამუშაო პროცესის/ადგილის ორგანიზება	4
14.	რკინიგზის ლიანდაგზე სამუშაოების წარმოების უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	6
15.	რკინიგზის ლიანდაგის სამშენებლო სამუშაოების წარმოება	5
16.	რკინიგზის მიწის ვაკისის და ხელოვნური ნაგებობების მიმდინარე მოვლა-შენახვა	4
17.	ლიანდაგის ზედა ნაშენის კონსტრუქცია	4
18.	ლიანდაგის მიმდინარე მოვლა-შენახვა	14
19.	ლიანდაგის ზედა ნაშენის ელემენტების შეცვლა	8
20.	ლიანდაგის მონიტორინგი/ინსპექტირება	6
21.	ლიანდაგის ზედანაშენის ელემენტებში დეფექტების ვიზუალური გამოვლენა	4
22.	პრაქტიკული პროექტი რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა	10
		77
სულ		114

სასწავლო გარემოში სწავლისთვის	კრედიტი	სამუშაო გარემოში სწავლისთვის	დისტანციური სწავლების შესაძლებლობები
ზოგადი მოდულები			
პიროვნული უნარები და ინტერპერსონალური კომუნიკაციები*	2		

სასწავლო გარემოში სწავლისთვის	კრედიტი	სამუშაო გარემოში სწავლისთვის	დისტანციური სწავლების შესაძლებლობები
ზოგადი მოდულები			
პიროვნული უნარები და ინტერპერსონალური კომუნიკაციები*	2		
უცხოური ენა	3		დისტანციური
მეწარმეობა	4		
რაოდენობრივი წიგნიერება*	2		დისტანციური
ინფორმაციული წიგნიერება*	2		დისტანციური
პროფესიული მოდულები			
ბლოკი 1			
საინჟინრო ხაზვა	5		
გეოდეზიის საფუძვლები	3		
გაცნობითი პრაქტიკა - სარკინიგზო ინდუსტრიაში	1	✓	
მეტროლოგია	3		
ბლოკი 2			
რკინიგზის მშენებელის სამუშაო პროცესის/ადგილის ორგანიზება	4	✓	
რკინიგზის ლიანდაგზე სამუშაოების წარმოების უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	6		დისტანციური
რკინიგზის ლიანდაგის სამშენებლო სამუშაოების წარმოება	5		დისტანციური

რკინიგზის მიწის ვაკისის და ხელოვნური ნაგებობების მიმდინარე მოვლა-შენახვა	4	✓	
ლიანდაგის ზედა ნაშენის კონსტრუქცია	4		დისტანციური
ლიანდაგის მიმდინარე მოვლა-შენახვა	14	✓	
ლიანდაგის ზედა ნაშენის ელემენტების შეცვლა	8	✓	
ლიანდაგის მონიტორინგი/ინსპექტირება	6	✓	
ლიანდაგის ზედანაშენის ელემენტებში დეფექტების ვიზუალური გამოვლენა	4	✓	
პრაქტიკული პროექტი რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა	10	✓	
სულ კრედიტები	90		

12. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;
 - ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
 - გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.
- არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.
- განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

საგანმანათლებლო პროგრამა მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას (*მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა*), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

მართლმეტყველება

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ჟესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

მართლწერა

- საკავშირბელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;
- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

13. კვალიფიკაციის მინიჭება

კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები: 90 კრედიტი - ქართულენოვანი სტუდენტებისათვის; 120 კრედიტი - არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ინტეგრირებული მოდულების გავლის შემთხვევაში 114 კრედიტი - ქართულენოვანი სტუდენტებისათვის; 144 კრედიტი - არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის. კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

14. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-13 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

15. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის - რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა; Railroad track constructio (სარეგისტრაციო ნომერი - 07.19.1) მიხედვით.

16. პროფესიული პროგრამის განხორციელების ადგილი

პროგრამა განხორციელდება სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის და სს „საქრთველოს რკინიგზის“ ბაზაზე.

პროგრამას თან ერთვის დანართები :

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (ძირითადი დოკუმენტი);
- ადაპტირებული მოდულები;
- სასწავლო გეგმები (ქართული ენის მოდულებით და მის გარეშე);
- პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი;
- პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსი;

პროგრამის ხელმძღვანელი



ბორის გვარჯალაძე

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის
ხარისხის მართვის მენეჯერი



შოთა მარგიშვილი

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის
დირექტორი



მანანა მოისწრაფიშვილი